საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხისათვის

შოთა ყიზილაშვილი –
სტუ-ს ემერიტუსი პროფესორი,
ეკონომიურ მეცნიერებათა
დოქტორი
E-mail: shotakiz@mail.ru
კონსტანტინე ყიზილაშვილი –
სტუ-ს პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხისათვის" განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

საქართველოს ამჟამინდელი სოფლის მეურნეობა ძალზე მძიმე მდგომარეობაშია, მცირდება სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე, მოსახლეობის სურსათით და სამრეწველო ნედლეულით უზრუნველყოფა.

სტატიის ავტორთა შეხედულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების, მოსახლეობის სურსათით და სამრეწველო ნედლეულით უზრუნველყოფის პრობლემის მთლიანად გადაწყვეტის გზად მიაჩნიათ: სოფლის მეურნეობაში უკვე გამოყენებული და მიწათმოქმედებისათვის ვარგისი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუყენებელი მიწების რაციონალური და პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება; სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი ვიწრო დარგობრივი სპეციალიზაციის ძირეული შეცვლა და მის მაგიერ ქართული, ეროვნული, ტრადიციული, თანაბარზომიერი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შექმნა; პერსპექტივაში გამოსაყენებელი მიწის ფართობის განაწილების სტრუქტურა, მიწათმოქმედების მაღალი კულტურა.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, სპეციალიზაცია, წარმოების დონე, რესურსები, სურსათი, ნედლეული, მიწათმოქმედება, ინტენსიფიკაცია, მრავალდარგოვანი, კონცეფცია.

მსოფლიოში ალბათ ნაკლებად მოიძებნება საქართველოს მსგავსი მადლიანი ბუნებრივ - კლიმატური პირობების მქონე ქვეყანა, სადაც ტერიტორიის მრავალფეროვანი ექსპოზიციის რელიეფისა და მდიდარი ნიადაგების მეოხებით შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს სოფლის მეურნეობის მრავალნაირი კულტურის განვითარება და ბუნებრივი სათიბ - საძოვრების სიუხვით მეცხოველეობის მძლავრი საკვები ბაზის შექმნა. სწორედ სასურველმა ბუნებრივმა პირობებმა და საუკეთესო გონივრულმა შრომითმა ჩვევებმა ქართველ ხალხს იმის საშუალება მისცეს, რომ საუკუნეების მანძილზე გამოეყვანა ხორბლისა და სხვა მარცვლოვანი და პარკოსანი, ვაზის, ხეხილის, თუთის თუ სხვა კულტურების, ძროხის, ხარის, კამეჩის, ცხვრის, თხის, ღორის, ცხენის, ფუტკრის, ფრინველის მრავალი უნიკალური ჯიში და საქართველო - „გეორგია - მიწათმოქმედთა" მაღალგანვითარებული აგრარული ქვეყანა გამხდარიყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველო ისტორიულად ჩამოყალიბებული, თანაბარზომიერად მაღალგანვითარებული, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო და. რამდენად სსამწუხაროა ასეთ ქვეყანაში, დღეს სოფლის სეურნეობა გაპარტახებულ მდგომარეობაში რომ იმყოფება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული, ეროვნული - ტრადიციული თანაბარზომიერი მაღალგანვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებათა უარყოფამ, საუკუნეების მანძილზე სოფლის მეურნეობის დარგთაშორის ჩამოყალიბებული სპეციალიზაციისა და შეთანაწყობის სისტემის დარღვევამ და მის მაგიერ „მაპროფილებელი და პრიორიტეტული" დარგების - მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მეხილეობის და მევენახეობის დარგების გამოყოფამ საქართველოს სოფლის მეურნეობაში უაღრესად მძიმე მდგომარეობა შექმნა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ერთი მხრივ იმით, რომ სწრაფად განვითარებულიყო ე.წ. საკავშირო მნიშვნელობის ზემოთ დასახელებული დარგები, რათა „ცენტრს" მიეღო იაფი საექსპორტო ნედლეული და პროდუქტები - ჩაი, ციტრუსები, ღვინო, ხილი და ა. შ. ხოლო მეორე მხრივ, რომ ხელოვნურად შემცირებულიყო თვით ქართველი ხალხის მთავარი საარსებო წყარო - ტრადიციული მარცვლეული და სხვა კულტურების მეურნეობა და ამის საფუძველზე მეცხოველეობის მთელი რიგი დარგების განვითარე-

ბის ხელოვნური შემცირებით მყარი საფუძველი შეექმნა იმისთვის, რომ საქართველოს ცენტრისაგან დამოუკიდებლად არსებობა არ შესძლებოდა. იმპერიამ თავის საწადელს მიაღწია, მაგრამ ქართველ ხალხს ჯერ არა აქვს გაცნობიერებული, თუ რა უნიკალური სიმდიდრის ვყოფილვართ და რა დაგვიკარგავს.

სწორედ საქართველოში „პრიორიტეტული" დარგების პროდუქციის თითქოსდა „გარანტირებული ეკვივალენტური" გაცვლის აღიარებულმა მეთოდმა მიიყვანა ჩვენი სოფლის მეურნეობა დაღუპვის პირამდე.

ამის გამო საქართველოს სასოფლო - სამეურნეო წარმოების თანამედროვე დამახინჯებული ვიწრო დარგობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე, დამკვიდრებულია ყოვლად გაუმართლებელი მოსაზრება თითქოს საქართველოს ამ ზღაპრული სიკეთის მთა - ბარის მქონესა და მიწათმოქმედთა უძველეს ქვეყანას, არ შეუძლია საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემის მთლიანად გადაწყვეტა. ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ შირმაა, რომელსაც კარგა ხანია დამშვიდების მიზნით ვიყენებთ. ამასთან, სოფლის მეურნეობის მრავალდარგობრივ სტრუქტურაში პრივილეგირებული მაპროფილებელი და პრიორიტეტული დარგების გამოყოფამ და უპირატესმა განვითარებამ სანატრელი გაგვიხადა ქართული ჭირნახული - ხორბლის ფქვილი, ღომის ღერღილი, სიმინდის ფქვილი, ლობიო, მოუხდელი რძე, ნატურალური ერბო - კარაქი, ყველი, ხორცი, ნატურალური ღვინო, ნუგბარი ხილი და სხვა.

ქართული, ეროვნულ-ტრადიციული თანაბარზომიერი მაღალგანვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის არსებობის პერიოდში ქართველ ხარხს ყოველთვის ჰქონდა თავისთვის სამყოფი და ნამეტი სურსათ-სანოვაგე. მაგალითად, საქართველოდან 1885 წელს ბათუმის და ფოთის ნავსადგურებიდან საზღვარგარეთ გატანილი იქნა 6207,0 ათასი ფუთი სიმინდი. ამავე წელს საქართველოში სახნავი მიწა იყო 1557,4 ათასი ჰექტარი, მაგრამ ქართული, ეროვნულ-ტარდიციული, თანაბარზომიერი მაღალგანვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებათა უარყოფამ, საუკუნეების მანძილზე სოფლის მეორნუობის დარგთაშორის ჩამოყალიბებული სპეციალიზაციისა და შეთანაწყობის სისტემის დარღვევამ საქართველოს სოფლის სეურნეობაში უაღრესად მძიმე მდგომარეობა შექმნა. ძალზე ნელი ტემპით იზრდება სასოფლო - სამეურნოე პროდუქტების წარმოების დონე, მოსახლეობის სურსათით და კვების მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა, რის გამოც გვიხდება ყოველწლიურად სხვა ქვეყნებიდან სასურსათო და საფურაჟე მარცვლეულის, ფქვილის, ხილის, კარტოფილის, ლობიოს, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, ხორცის, კარაქის, მცენარეული ზეთის, შაქრის და სხვა პროდუქტების დაახლოებით ოთხმოც პროცენტზე მეტის შემოტანა. მაგალითად საქართველოში 2011 წელს უცხოეთიდან შემოტანილია 184,2 მლნ დოლარის ღირებულების ხორბალი, 89,7 მლნ დოლარის შაქარი, საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები 929,4 მლნ დოლარის. წარმოვიდგინოთ ამ უზარმაზარი ფულადი სახსრების თუნდაც მცირე ნაწილის გამოყენება ამ სფეროში რა სიკეთეს მოგვცემდა. ამიტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება ყოველმხრივ გააზრებულ, გონივრულ და ახლებურ მიდგომას მოითხოვს.

დადგა დრო განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, ძირითადად არა დღევანდელ მაპროფილებელი პრიორიტეტული დარგების, არამედ ეროვნული ტრადიციული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის თანაბარზომიერი განვითარების გათვალისწინებით შემდგომ მკვეთრ შეცვლას. რაც მყარი საფუძველი იქნება იმისა, რომ მთლიანად გადაიჭრას საქართველოს მოსახლეობის და ტურისტების საკუთარი რესურსების ხარჯზე სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის როგორც ამჟამინდელი, ისე სამომავლო განვითარების საფუძველთა საფუძველია მიწის რესურსები და მათი გონივრული გამოყენება. დღევანდლამდე საქართველოს სოფლის სეურნეობის განვითარებაში ყველაზე დიდი ბარბაროსული აქტი იყო ქართული მიწისადმი უდიერი დამოკიდებულება, ახალი მიწების ათვისების უგულებელყოფა და გამოყენებული მიწების მკვეთრი შემცირება. ჩვენში დამკვიდერებულია აზრი, იმის წესახებ, რომ საქართველო :"მცირემიწიანი" ქვეყანაა. ტერმინი „მცირემიწიანი" გაჩნდა საბჭოთა საქართველოს პერიოდში. მისი დამკვიდრების ძირითადი საფუძველი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე სახნავი და სასოფლო - სამეურნეო სავარგული მიწების რაოდენობრივი მაჩვენებლები. ეს აზრი ერთგვარი შირმისათვის გაჩნდა და თვითდამშვიდების ან თავდაცვის მიზნით ვიყენებდით. ვთქვათ, საქართველო მართლაც მცირემიწიანია, მაშინ რაღა უნდა თქვას მართლაც მცირემიწიანმა ქვეყნებმა? მაგალითად, საფრანგეთში სახნავის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 0,16 ჰექტარია, ინგლისში - 0,14,

ბელგიაში - 0,13, შვეიცარიაში - 0, 12, ჰოლანდიაში - 0,11, საქართველოში კი - 0,16 ჰექტარია, ვნახოთ ჩვენი და მათი ცხოვრება. ამდენად დღეს ამ ტერმინის ხმარება დიდ შეცდომად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგანაც საქართველო მცირემიწიანი ქვეყანა არასოდეს ყოფილა.

საქართველო, რომ მართლა მცირემიწიანი იყოს, მაშინ რას უნდა მივაწეროთ ის, რომ დღემდე საქართველოს სივრცე და სასოფლო - სამეურნეო სავარგულების ტრანსფორმაცია არასოდეს ინსტრუმენტული გაზომით არ დადგენილა, ე.ი. ჩვენ არ გაგვაჩნია საქართველოს ამჟამინდელი ტერიტორიის საერთო (7628,4 ათასი ჰექტარი) და სასოფლო - სამეურნეო სავარგული მიწის ფართობისა (2822,3 ათასი ჰექტარი) და ტრანსფორმაციის შესახებ ზუსტი ცნობები. მით უმეტეს, ეს ფართობი ინსტრუმენტული გაზომვით დაახლოების ათი პროცენტით - 762,8 ათასი ჰექტარით მეტი იქნება. ამასთან როგორ მოხერხდა ის, რომ საქართველოში დამუშავებული მიწის ფართობი გაზრდის მაგიერ 1900 წელს - 1634,6 ათასი ჰექტარიდან 2014 წელს - 1065,6 ათას ჰექტრამდე შემცირდა, ე.ი. ამ ხნის მანძილზე 569,6 ათასი ჰექტარით, ანუ ყოველწლიურად 5,0 ათასი ჰექტარი ანუ 31,0 პროცენტით შემცირდა„ მიწის ხარჯვის" დაახლოებით ასეთი ტემპია დღესაც. ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ მომავალშიც ამ გზით ვივლით, მაშინ გარკვეული დროის შემდეგ საქართველოში არც ერთი ჰექტარი დამუშავებული მიწა აღარ იქნება: რა გავაკეთეთ, რას ვუტოვებთ მომავალ თაობებს? განა „მცირემიწიანი" ქვეყნის ხალხი ასე იქცევა?!

გამოდის რომ დღევანდლამდე ქართულ მიწას ვუყურებდით არა როგორც ქართველი ხალხის მარჩენალს, არამედ როგორც „მტერს" ამიტომ შეგვრჩა ასეთი დაღუპული სოფლის მეურნეობა.

საქართველოში როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე შემდგომ წლებში ყველაზე დიდი შეცდომა იყო ახალი მიწების ათვისების უგულებელყოფა. ძირითადად უკვე დამუშავებული მიწების ხარჯზე ე.წ. მონოკულტურებით დაკავებული სავარგულების ზრდა და ამით გამოწვეული სოფლის მეურნეობის ვიწრო დარგობრივი სპეციალიზაცია.

ახალი მიწების ათვისების უგულებელყოფა ნიშნავს იმას, რომ საქართველოში არ იყო და ამჟამადაც არ არის ახალი მიწების ათვისების ხარჯზე დამუშავებული მიწის ფართოებების გაზრდის შესაძლებლობა. ცხადია, ეს მოსაზრება არ არის სწორი.

საქართველოში მიწათმოქმედებისათვის გამოყენებულია მიწის მთლიანი ფართობის ერთი მეექვსედი. ეს გარემოება, პირველ რიგში საქართველოს მთაგორიანი რელიეფით აიხსნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დასამუშავებული მიწის ფართობის გადიდება არ შეიძლება.

მართალია, საქართველოში მცირეა მიწათმოქმედებისათვის საჭირო მიწის ფართობები, ქვეყნის ტერიტორიის 15,8%), სამაგიეროდ, დიდია ბუნებრივ-სამეურნეო მიწის ფართობები (70,6%), რომლებიც უმთავრესად საძოვრებად და სხვა დანიშნულებით გამოიყენება. ამ მიწის ფართობიდან დაახლოებით რვაას ოთხმოცი ათასი ჰექტარის პირველ რიგში - ჯაგნარის, სათიბ - საძოვრისა და ტყე - ბუჩქნარის გამოყენება შეიძლება სასოფლო - სამეურნეო წარმოებაში. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბუნებრივ - სამეურნეო მიწის ფართობების ტრანსფორმაციამ არ უნდა გამოიწვიოს სატყეო მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების შეფერხება.

ამრიგად, საქართველოში სამომავლოდ შესაძლებელია დამუშავებული მიწის ფართობი დღევანდელი 1065,6 ათასი ჰექტარიდან 1945,6 ათას ჰექტარამდე გაიზარდოს.

მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მეცნიერულ - ტექნიკურმა პროგრესმა უდიდესი გავლენა მოახდინა ნებისმიერი დიდი თუ პატარა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მაგრამ საქართველოში პირიქით მოხდა, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უაღრესად ცუდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა ქვეყნის რეგიონებისათვის შემუშავებულმა მეცნიერულ - ტექნიკურმა პროგრესის დანერგვამ ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე ბუნებრივი თუ ხელოვნული შერჩევის გზით გამოყვანილი ჩვენს მთა-ბარს, ჰავას და ნიადაგს შეგუებული ქართული ხორბლის, ღომის, სიმინდის, ვაზის, ხეხილის, თუთის, საზამთროს, მზესუმზირის, ლობიოს და სხვა მრავალი კულტურის ჯიში დავკარგეთ. თითქმის მოსპობის პირას არის მისული წმინდა თუშური ცხვრის, თხის ქართული ძროხის და ხარის, კამეჩის, ღორის, ცხენის, სხვა პირუტყვისა და ფრინველის ჯიშები. სამაგიეროდ გავამრავლეთ ე.წ. „შემოტანილი" თუ „შემოყვანილი" „კარგი" ხორბლის, სიმინდის, ვაზის, ხეხილის, ძროხის, ნაზმატყლიანი ცხვრის, ღორის, ქათმის და სხვა ჯიშები. მაგრამ ამჟამად ეს აღმაშფოთებელი საქმიანობა ისევ გრძელდება. მთელს მსოფლიოში ვმოგზაურობთ. საინტერესოა, ამ მოგზაურობის მიზანი, რისთვის დავდივართ, რას ვეძებთ, ისეთს, რაც ჩვენს წინაპრებს და ჩვენს არ გაგვიკეთებია?! ვფიქრობთ, ეს მოგზაურობა მხოლოდ ჩვენი პირადი სიამოვნებაა და სხვა არაფერი. აბა რით

უნდა ავხსნათ მოგზაურთა „წყალობით", „საუკეთესო" ხორბლის, სიმინდის, კარტოფილის ჯიშების შემოტანა? მაგრამ რა შედეგები მოჰყვა ამას. საქართველოს მოსახლეობამ, შეიძლება ითქვას, დიდი ზარალი განიცადა და აქაც გამკითხავი არავინ ჩანს.

აქედან გამომდინარე ვურჩევთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მესვეურებს, მოგზაურობის მაგიერ მის ხელუხლებელ არქივებში დაცული ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგები ნახონ და გამოიყენონ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება-აღორძინების საქმეში.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მძიმე მდგმოარეობის დროულად გამოსწორებისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას, ე.ი. სოფლის მეურნეობის ამჟამინდელ დარგობრივ სტრუქტურაში უნდა ამაღლდეს იმ კულტურების და დარგების ხვედრითი წილი, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს მოსახლეობის და ტურისტების სურსათით, ხოლო სამრეწველო ნედლეულით მთლიანად უზრუნველყოფისათვის. ამის რეალური შესაძლებლობა არსებობს თუკი სამომავლოდ დასამუშავებელი 1945,6 ათასი ჰექტარი მიწის ფართობიდან მრავალწლიანი ნარგავებს 380,0 ათასი ჰექტარი (19,5%) დაეთმობა; კარტოფილს, ბოსტნეულ-ბაღჩეულს, ტექნიკურ და საკვებ კულტურებს - 465,6 ათასი ჰექტარი (23,9%), ხოლო მარცვლეულს - 1100,0 ათასი ჰექტარი (56,6%) ამიტომ აუცილებელია დასამუშავებელი მიწის ფართობის განაწილების ამ სტრუქტურის მიხედვით დამუშავდეს ქართული ეროვნული, ტრადიციული, თანაბარზომიერი, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია. ეს იქნება ერთადერთი სწორი არჩევანი საქართველოში საუკუნეების მანძილზე ჩამლყალიბებული, მაგრამ ამჟამად არარსებული ქართული, ეროვნული, ტრადიციული, თანაბარზომიერი, მაღალგანვითარებული, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობაში უკვე გამოყენებული და მიწათმოქმედებისათვის ვარგისი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუყენებელი მიწები საქართველოს სოფლის მეურნეობის ოქროს ფონდია, ქართველი ხალხის დიდი სიმდიდრეა. მისი რაციონალური და პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება სადღეისო და სამომავლო საქმეა. თუ კვლავ არ იქნება დაშვებული უხეში შეცდომები მიწის ათვისება-გამოყენებაში, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის გზით განვითარებაში, აგრარული მეცნიერების მიღწევების ფართოდ გამოყენებაში, შეიქმნება სოფლის მეურნეობის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დროზე იქნება დაძლეული სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში არსებული ხარვეზები, აღდგება და განვითარდება ქართული, ეროვნული, ტრადიციული, თანაბარზომიერი მაღალგანვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, მთლიანად გადაიჭრება საკუთარი რესურსების ხარჯზე სურსათ-სანოვაგით საქართველოს მოსახლეობის და ტურისტების, ხოლო სამრეწველო ნედლეულით უზრუნველყოფის პრობლემა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შ. ყიზილაშვილი. საქართველოს ეკონომიკა. თბ; 2008 წ.
2. შ. ყიზილაშვილი, კ. ყიზილაშვილი. ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები საქართველოში. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა", 6, 2008 წ.
3. შყიზილაშვილი. რა გადაგვარჩენს. ჟურნ. „კვალი", 4, 1991 წ.
4. შ. ყიზილაშვილი. მიზეზები, შეცდომები, პრობლემები. ჟურნ. „კვალი", 4, 1997 წ.
5. ნ. იაშვილი. საქართველოს სსრ მიწის ფონდი. თბ; 1961 წ.
6. შ. მიშველაძე. ხედავთ რა დღეში ჩავარდით, ჟურნ. „კვალი", 7, 1990 წ.
7. www geostat Ge.

ВОПРОС РАЗВИТИЯ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА ГРУЗИИ

ШОТА КИЗИЛАШВИЛИ -
Эмеритус проф. ГТУ, д.э.н.
E-mail: shotakiz@mail.ru
КОНСТАНТИНЕ КИЗИЛАШВИЛИ -
проф. ГТУ, д.э.н.

Резюме

В представленной статье „Вопросов развития сельского хозайства Грузии" расмотрено сегодняшнее состояние селького хозайства Грузии и перспективы его развития.

Нинешнее сельское хозайство Грузии находится в очень тяжелом состоянии снижается уровень производства сельскохазяйственного продуктов и ухудшается обоспечение население продовольствием и промышленным сырьем.

Автори статы считают что пути возрождения сельского хозяйства и полного решения проблемы обеспечения населения сельскохозяйственными продуктами и промишленным сырьем сосиоят в следующем. Максимальное исползование рациональной и потенциальной возможности земель уже исползованных в сельского хозяйстве и неиспользованной но пригодной для земледелия земли, коренное изменение нинешней узка –отраслевой специализации сельского хозяйства и создание грузинского, национального, Традиционного, многоотраслевого сельского хозяйства. Создание структуры распределения участков земли для перспективного использования, высокая культура земледелия.